განკარგულება:**გ-49. 492602813**
თარიღი:**28/01/2026**

ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა N 25-ში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველ სართულზე განთავსებული 81.4 კვ.მ. ფართის -7 (შვიდი) ოთახის სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სსიპ - სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნულ სააგენტოსათვის, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და რეკრუტირების წყალტუბოს მუნიციპალური განყოფილების განთავსების მიზნით, გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 16 იანვრის №48-4826016165 წერილი, რომელშიც ითხოვს თანხმობას, ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა N 25-ში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველ სართულზე განთავსებული 81.4 კვ.მ. ფართის -7 (შვიდი) ოთახის, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სსიპ - სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნულ სააგენტოსათვის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და რეკრუტირების წყალტუბოს მუნიციპალური განყოფილების განთავსების მიზნით, 2027 წლის 1 იანვრამდე გადაცემის შესახებ,დანართის სახით, წარმოდგენილი ნახაზის შესაბამისად.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 122-ე მუხლისა და „საქართველოს მუნიციპალიტეტების მიერ უძრავი ქონების გადაცემისა და მომსახურებისათვის საჭირო ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 16 აპრილის N 536 განკარგულების შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს სსიპ სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნულ სააგენტოსათვის, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და რეკრუტირების წყალტუბოს მუნიციპალური განყოფილების განთავსების მიზნით, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, უზუფრუქტის ფორმით გადასცეს ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა N 25-ში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველ სართულზე განთავსებული 81.4 კვ.მ. ფართი -7 (შვიდი) ოთახი, წარმოდგენილი ნახაზის მიხედვით.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.

3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი